№ 144

კვირა, 9 ივლისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 144

კვირა, 9 ივლისი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 70 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 55 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" გამგეობა ამით აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს დაიჭიროს ადგილი მეორე მასწავლებლისა ბათუმის ქართულს სკოლაში, უნდა თხოვნით მოჰმართოს გამგეობას 25 აგვისტომდე ამ წლისა. მეორე მასწავლებელს ეძლევა: ჯამაგირი თვეში ოთხი თუმანი, სადგომი და მოსამსახურე.

(7—2)

**კაბინეტი კბილის ექიმთა ვ. ი. პიპინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

### ტფილისი, 9 ივლისი.

ბულგარიის ერი მწუხარებამ შეიპყრო: მას შესანიშნავი მამულიშვილი და სახელმწიფო მოღვაწე—სტამბულოვი. მწუხარებას აათკეცებს ის გარემოება, რომ ამ გამოჩენილს კაცს ბოლო მოეღო თვისსავე თანამემამულის ბოროტგანზრახვისაგან. დღემდის მოსულ დეპეშებიდგან ცხადად სჩანს, რომ ჩადენილ საზიზღრობამ შეაძრწუნა თვით დაუძინებელნი მტერნი სტამბულოვისა! ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რასაკვირველია, რადგანაც სტამბულოვს მეტად დიდი ღვაწლი მიუძღოდა სამშობლოს წინაშე.

ეს ათი წელიწადია, სტამბულოვის ბიოგრაფია და ბულგარიის ისტორია მეტად შეკავშირდნენ: სტამბულოვის ბიოგრაფია ბულგარიის ახალი ისტორიაც არის. გარდა ამისა გამოჩენილის მოღვაწის სახელი ათის წლის განმავლობაში პირზედ ეკერა ყველას, ვინც-კი თვალ-ყურს ადევნებს ევროპის ყოფა-ცხოვრებას და ბისმარკის სახელთან ერთად ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში მუდამ დღე მრავალჯერ იხსენიებდა.

თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ უკანასკნელს დროს არვის შესახებ არ გამოთქმულა და არ დაწერილა იმდენი ერთმანერთის საწინააღმდეგო აზრი და შეხედულება, რამდენიც სტამბულოვის შესახებ. ჯერ არ შეიძლება პირუთვნელის აზრის გამოთქმა იმ მოღვაწის შესახებ, რომლის მოქმედება ყველას გვახსოვს, რომლის მოღვაწეობამ ჩვენის თვალის წინ ჩაიარა. მომავალი ისტორია დააფასებს ღირსეულად სტამბულოვის ღვაწლს და ახსნის კიდევაც—რამ აიძულა ეს შესანიშნავი კაცი ხანდისხან მიემართა იმგვარ საშუალებისათვის, რომლის წინააღმდეგი ბევრი რამ ითქმის?!

სტამბულოვის ვრცელს ბიოგრაფიასა და ბულგარიის ახალს ისტორიას ჩვენ მალე დავუბრუნდებით ისევ, დღეს-კი აღვნიშნავთ მხოლოდ უმთავრესს სტადიებს მისის ცხოვრებისა და მოღვაწეობისას, რომლიდგანაც ცხადად დავინახავთ, თუ რა დიდი და დაუვიწყარი საქმე უძღვნა მან თვისს სამშობლოს.

1886 წელს ევროპას მოულოდნელად მოედვა ახალი ამბავი: ფილიპოპოლში მოხდა რევოლიუცია—ბულგარელთ აგიტატორებმა დაატუსაღეს ოსმალეთის მთავრობის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი აღმოსავლეთ რუმელიისა და აღიარეს ამ ქვეყნის შეერთება ბულგარიასთან. აღმოსავლეთ რუმელია ბულგარიის მხარეა, მაგრამ ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილებისამებრ იგი დასტოვეს ოსმალეთის მფლობელობაში. ეს უსამართლობა იყო და ფილიპოპოლის რევოლიუციამ უსამართლობა გაასწორა. ამ დროიდგან დაიწყო ბულგარიის უბედურება, ამ დროიდგან ეს ქვეყანა ნორმალურ კალაპოტიდგან გამოვიდა და თითქმის დღემდისაც ვერ ჩამდგარა თვისსავე კალაპოტში. ჯერ იყო და სერბიასთან ომი მოუხდა, ომი სრულიად უაზრო და უსაგნო, მაგრამ სამწუხარო. დასრულდა ომი თუ არა, ბულგარიის მთავარს ალექსანდრე ბატენბერგს, რომელმაც ქვეყნის დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა სერბიასთან ომში გამარჯვებით და პატრიოტულის მოღვაწეობით, ტახტი დაატოვებიეს და დატუსაღებული ავსტრიაში განაძევეს. ამ სახიფათო დროს სტამბულოვი ბულგარიის პარლამენტის თავმჯდომარეთ იყო და საკვირველის ენერგიით შეებრძოლა გარეშე გამანადგურებელს ძალას. მისის მეცადინეობით ბულგარიამ ისევ მოიწვია ალექსანდრე ბატენბერგი, მაგრამ რუსეთი წინა აღუდგა მთავრის დაბრუნებას. განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ დეპეშით აცნობა ბატენბერგს, რომ არაფრისთვის არ მოითმენს მასს ბულგარიაში დაბრუნებას. დადგა ბულგარიისთვის დიდად განსაცდელი დრო. რუსეთმა არ შეიწყნარა ფილიპოპოლის რევოლიუცია, თხოულობდა ბერლინის ტრაქტატის უცვლელად დატოვებას, იმ მთავრის ამორჩევას, რომელსაც რუსეთი უჩვენებს, ბულგარიის სამხედრო და გარეშე საქმეთა უწყების რუსეთის გავლენის ქვეშე მიცემას და სხვა. საქმე ისე დატრიალდა, რომ ბულგარია ან უნდა დამორჩილებოდა რუსეთის მოთხოვნილებათ და მით თვისი სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება დაეკარგა ანა და უნდა გაეხადა მტრად ევროპის უძლიერესი სახელმწიფო. მეტის მეტად მძიმე, დასაფიქრებელი და საშიში საკითხი გაუჩნდა ბულგარიის მმართველთ! ბევრნი და მათ შორის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე კარაველოვიც შეშინდნენ და დაიწყეს დათმობისა და რუსეთთან შერიგების ღაღადი. მაგრამ სტამბულოვი სხვა რიგად სჯიდა და ბრძოლა დაიწყო.

მეტად ძნელი იყო ეს ბრძოლა! გარეშე მძლავრს მტერს შინაური ქომაგნიც გაუჩნდა და დაიწყო სრული ანარხია: არეულობა არეულობას მოსდევდა და ერთ საიდუმლო შეთქმულებას მეორე. სტამბულოვი მხნედ შებრძოლა ორივეს და მალე დაარწმუნა ყველანი, რომ გამარჯვება მის ხელთ იქნება. მეტად დრამატიული მომენტი იყო კაულბარსის მოგზაურობა ბულგარიაში. გენერალი კაულბარსი იმპერატორის სახელით ურჩევდა ბულგარიის ერს—დაემორჩილე რუსეთსაო; რჩევა მუქარითაც თავდებოდა ხოლმე, მაგრამ ერი არ შეშინდა და სტამბულოვს გაჰყვა... ახლად არჩეულმა ქვეყნის წარმომადგენლებმა სტამბულოვის მიერ არჩეული პრინცი ფერდინად კობურგელი დაასახელეს ბულგარიის მთავრად. რუსეთმა, რასაკვირველია, არც ეს არჩევა სცნო კანონიერად. კობურგის მთავრობის პირველი დრო ისევ სახიფათო იყო და სტამბულოვს ბევრი ენერგია დასჭირდა ახალის მდგომარეობის გამაგრებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სტამბულოვის უმეტესი ენერგია და მეცადინეობა ბრძოლას უნდებოდა, არც შინაურის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის შრომა დაუვიწყია მძლავრს დიქტატორს. მან მოახდინა რამდენიმე სასარგებლო ადმინისტრატული და ეკონომიური რეფორმა. თუმცა ქვეყანა დიდს შფოთში და განსაცდელში იყო, მაგრამ ვაჭრობა-მრეწველობა და სწავლა-განათლება მაინც თან-და-თან ძლიერდებოდა.

შინაურ მტრებთან და მოღალატეებთან ბრძოლის დროს სტამბულოვი არ არჩევდა საშუალებას და, როგორც ზევითა ვსთქვით, ხშირად ისეთს ხერხს ხმარობდა, რომლის გამართლება ძნელია. ბეჭდვითი სიტყვის შევიწროება, კონსტიტუციის დარღვევა, სასტიკი სასჯელი პოლიტიკურ დამნაშავეთათვის, პოლიტიკურის მტრების სახელმწიფო მტრებად დასახვა და სხვა ამგვარი სტამბულოვს პასივში ჩაეწერება, მაგრამ მომავალი ისტორია განსაზღვრავს მას—თუ როდის მოითხოვდა სტამბულოვისაგან გარეშე გარემოება რეპ-

## ფელეტონი

### A une femme.

(ვიქტორ ჰუგოდამ)

მეფე რომ ვიყო, მოგიძღვნიდი
დიდებას ქვეყნის,
გვირგვინს მეფისას და ძვირფასთა
ჩემს სამკაულთა,
ჩემსა სამეფოს, ჩემსა ერსა, სკიპტრას
და პორფირს
და ზღვაოსანთა სახალისოს—სამხედრო გემთა—
ერთხელ რომ მაინც შემხედავდე მე
შენსა ყარიბს.

—

ოჰ, ღმერთი რომ მქნა! მოგიძღვნიდი მდინარეთ და ზღვებს,
ხმელეთს, ქალაქებს, ზეცის ძალთა
და ძლიერებას,
გროვას დემონთა, თან ბუნების შნოს
და სიმდიდრეს,
სივრცეს, ცის თაღებს, სანატრელსა
ჩემს უკვდავებას,
ერთხელ რომ მაინც მაღირსებდე მე
ამბორებას.

გრ. აბაშიძე.

### კაპიტალიზმის ბედი ზოგიერთს ქვეყნებში.

ვუძღვნი ჩვენს მარქსისტებს.

(შემდეგი *).

### II

მაგრამ პურიც არის და პურიც. რუსის გლეხი მარტო შავპურს სჭამს, რომელშიაც უფრო ცოტა აზოტიც არის და უფრო ძნელი შესათვისებელიც, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში უმეტესად თეთრი პურით საზრდოობენ და მდარე პურს ცხოველებს აჭმევენ. მაგ. საფრანგეთში 1888 წელს მცხოვრებთა მთელი 86% საზრდოობდა თეთრი პურით.

ახლა შევადაროთ ხორცის ხარჯი სხვა-და-სხვა ქვეყნებში:

წელიწადში იხარჯება თითო სულზედ:

| | გირვანქა ხორცი. |
|---|---|
| შეერთებულ შტატებში . | 172 |
| დანიაში . . . . | 141 |
| შეერთებ. საკოროლოში . | 120 |
| საფრანგეთში . . . | 85 |
| ბელგიაში . . . | 72 |
| გერმანიაში . . . | 70 |
| შვეიცარიაში . . . | 68 |
| ავსტრიაში . . . | 67 |
| რუსეთში . . . | 56. |

*) იხ. „ივერია" № 143. 1895 წ.

პირდაპირმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ რუსის გლეხი მხოლოდ „კაი" დღეებზედ სჭამს ხოლმე ხორცს და მაშინაც ერთბაშად, ხარბად, ასე რომ მაშინდელი ნაჭამი ხორცი, ცხადია, არ შეერგება. მართალია, ხანდახან, როცა გახურებული მუშაობაა, მაშინაც სჭამენ ხორცს, მაგრამ როგორს! დამარილებულს, მოუნელებელს. ამას გარდა ხსენებული 56 გირვანქა საშუალო რიცხვია და ერთობ უსწორ-მასწოროდ არის განაწილებული, ასე რომ ზოგიერთები წლითი-წლობით სულაც ვერ ნახულობენ ხორცის გემოს. ცოტა ხანი იქნება თუ დიდი, ყოველ-წლივ შიმშილი უდგია რუსეთში გლეხების ერთს ნაწილს. და რასაკვირველია, რომ ისეთს შიმშილს, როგორიც იყო რუსეთში 1891 წელს, მთლად გაენადგურებიოს მრავალი გლეხის ოჯახობა და დაეზიანებიოს ეროვნული ჯანმრთელობა.

იქნება იფიქროს მკითხველმა, რომ, თუმცა რუსეთში ნაკლებადა აქვთ ხორცი, მაგრამ სამაგიეროდ ძროხეულობა მეტი აქვთ, ვიდრე ევროპაშიო. მაგრამ აქაც იმავე მოვლენას ვხედავთ: მაშინ, როდესაც ევროპაში თითო სულზედ 205 ლიტრა რძე მოდის, რუსეთში 91 ლიტრა.

შეიძლება იფიქროს აგრეთვე მკითხველმა, რომ, თუმცა ჯერ-ჯერობით რუსეთში ცოტა საკლავი ჰყავთ, მაგრამ თან-და-თან მატულობს მისი (საკლავის) რიცხვიო. ვნახოთ:

ას მცხოვრებზედ მოდიოდა რუსეთში:

| | დიდი საქონელი | ცხვარი | ღორი | ყველა რომ დიდ საქონლად გადავიყვანოთ. |
|---|---|---|---|---|
| 1856 წ. | 37,7 | 71,9 | 16,1 | 48,9 |
| 1866 წ. „ | 33,2 | 68,7 | 14,6 | 43,7 |
| 1876 წ. „ | 29,2 | 60,1 | 12,4 | 38,3 |
| 1888 წ. „ | 27,9 | 50,4 | 10,5 | 35,5 |

მაგრამ შეიძლება აგრეთვე იფიქროს ვინმემ, რომ ეს მარტო რუსეთის თავზედ არ არისო, რომ ევროპაშიაც თან-და-თან კლებულობს საზრდოო, მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობა თან-და-თან წინდაწინ მიდისო. მაგრამ არც ამგვარი ფიქრი მართლდება. აი ფაქტები:

დიდ-ბრიტანიაში შეჰქონდათ მე-50-ე და მე-60 წლებში 35%-ი მთელი იმ პურისა, რაც იქ იხარჯებოდა, მე-70-ე წლებში 57%-ი და მე-80-ე წლებში 65% ი. დანიაში თუმცა 28,4 ფუთი პური მოდის თითო სულზედ წელიწადში, მაგრამ 4,5 ნახევარი ფუთი კიდევ შეაქვთ უცხო ქვეყნებიდამ. ჩრდილო-ამერიკაში 55,6 ფუთი პური მოდის წელიწადში თითო სულზედ და მხოლოდ 5,1 ფუთი გააქვთ გარეთ. უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში გერმანიაში ხორცის ხარჯმა იმატა 7%-ით, შეერთებულ საკოროლოში 25%-ით, ბელგიაში 30%-ით, საფრანგეთში 79%-ით. რუსეთში კი წლითი-წლობით მცირდება. მე-70-ე წელს შეერთებულ საკოროლოში სულზედ 11 გირვანქა ხორცი და 9 გირვანქა ყველი და ერბო იყო შეტანილი, მე-80-ე წელში 42 გირვანქა ხორცი და 13 გირვანქა ყველი და ერბო და მე-89 წელს კი 47 გირვანქა ხორცი და 17 გირვანქა ყველი და ერბო. რუსეთიდან-კი ყოველ წლობით აუარებელი ხორაგი გადის საზღვარ-გარეთ.

შეიძლება ფიქრად მოუვიდეს ვისმე, რომ, რადგან ევროპის მუშები ასე კარგად საზრდოობენ, მთელ თავისს ჯამაგირს და შემოსავალს საჭმელზედ ხარჯვენო. მაგრამ შემცდარი იქნება, ვინც ასე ფიქრობს: დამტკიცებულია (ენგელის კანონი), რომ საზოგადოდ, რაც მეტს ხარჯავს კაცი, მუშა იქნება თუ სხვა, სასმელ-საჭმელზედ, იმდენად მეტს ხარჯავს ტანისამოსზედ და სხვა მოთხოვნილებაზედ, რომ, როცა ბევრს ხარჯავს კაცი უბრალო მოთხოვნილებაზედ, მაშინ კიდევ მეტს ხარჯავს უმაღლესზედ. ეს კანონი მშვენივრად

რესპლიის და როდის ეს რეპრესალია სრულიად უადგილო იყო... შეიძლება მაშინ სტამბულოვის პასსივს მოემატოს, შეიძლება ბევრიც მოაკლდეს, მაგრამ ეჭვს გარეშე დარჩება ის დიდი ღვაწლი, რომ სტამბულოვის ენერგიამ, ჭკუამ, სახელმწიფო და პოლიტიკურმა ნიჭმა და გარემოებათა საკვირველმა მოხმარებამ ბულგარია დიდს განსაცდელს გადაარჩინა.

ლალი.

# ახალი ამბავი

*** სამშაბათს, 11 ივლისს, დანიშნულია კერძო კრება, რომელმაც უნდა საბოლოოდ აირჩიოს ერთ-ერთი წესდების პროექტი ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოებისა და აგრეთვე აირჩიოს კომიტეტი, რომელსაც მიენდობა საქმის გაძღოლა. კრება დანიშნულია საღამოს რვა საათისთვის ბ. კრაუზეს სახლში, მიხეილის ქუჩაზედ, ექიმთა პიპინაძისა და ელიაშვილის სადგომში, № 79. სასურველია, ამ კრებას დაესწრებოდნენ ჩვენი საზოგადო მოღვაწენი.

*** სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებამ მიიღო ფოსტით ოქროსა და ვერცხლის ფული. ხუთმანეთიანი ოქრო სულ 100 ათასი ცალი მიიღო ბანკის განყოფილებამ. ბანკს მოუვიდა აგრეთვე მოწერილობა, რომ მსურველს ქაღალდის ფულში ოქროსა და ვერცხლის ფული მიეცეს. ვერცხლის მანეთიანებს პირ-და-პირ ქაღალდის მანეთიანებზედ გაუცვლიან ღირებულობის შეუცვლელად. ამ მანეთიანებში 1809 წელს მოჭრილი ფულიც მოიპოვება.

*** ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ქალაქში ჯიბის ხელობა. შესანიშნავი ის არის, რომ დღეს ამ ხელობას სულ სხვა ხალხი შესდგომია. ტანთ-ამათ მშვენივრად აცვიათ, — „პიდჟაკ-ცილინდრებითა“ და წვრილ ჯოხებით დაიარებიან და ამ რიგად ხალხი მათ სრულიად არ ერიდება. სწორედ კარგი მოსაზრებაა, რომ თავისი ბოროტი განზრახვა დაჰფარონ. ეჭვი არ არის, მიზეზიც ეს არის, რომ დღეს ამ ვაჟბატონების ჯიბეში უფრო მეტი ებმება, ვიდრე წინად, როდესაც ასეთს ხალხს ტანისამოსზედა სცნობდნენ ხოლმე.

*** ტფილისის პოლიციმეისტრის თანამდებობის აღმასრულებლის ნ. ი. სოკოლოვსკის ბრძანებით ნება-დართულია ბანაობა შემდეგს ადგილებში მტკვარზედ: 1, 3, 6, 9 და 10 განყოფილებებში იქ, სადაც ბანაობა საშიში არ არის; ამ ადგილებში ბაირაღებია გამოკიდული და წარწერაცა აქვს, რომ ბანაობა ამ ადგილებში აკრძალული არ არის.

*** სიღნაღსა, თელავსა, ახალ ქალაქსა და დუშეთში საქალაქო დებულების შემოღების შესახებ მუშაობა ამ წლის სექტემბერში დაიწყება.

*** 144 ვერსზედ მარელისსა და ბელოგორს შუა 7 ივლისს დიდის წვიმების გამო კიდევ შესწყდა პირ-და-პირი მიმოსვლა მატარებლებისა. რკინის გზის ლიანდაგი თითქმის ნახევარ ვერსის მანძილზედ ჩამოწოლილ მიწითა და ქვით დაფარულია; ამიტომ მგზავრები ამ ადგილას ფეხით გადადიან და ფეხითავე გადააქვთ ბარგი. თავისუფალი მიმოსვლა შეიძლება დღეს, 9 ივლისს, დაიწყოს. საქონლის მატარებლები სრულიად ვერ დადიან და რკინის გზას ამის გამო დღეში 35,000 მან. ზარალი აქვს.

*** ქალაქის ტეხნიკმა მელიქ-ბეგლიაროვმა დაათვალიერა შენობები ჩუღურეთში და რიყეზედ და აუწყა პოლიციას, რომ ოც-და-რვა შენობა სრულებით უნდა დაიქცეს.

*** როგორც გაზ. „კავკაზს“ შეუტყვია, უცხოელ კაპიტალისტთა ორს ამხანაგობას განუზრახავს იჯარით აიღოს ტყიბულის ქვა-ნახშირის სამადნეულო ადგილები.

*** ამ ორ-სამს დღეს წვიმების გამო ტფილისში მილის წყალი საშინლად აიმღვრა.

*** ამას წინად პატარა ორბელიანთ ქუჩაზედ ამირიძის სახლებში მდგმურ ქართლ იმერეთის სინოდალურ კანტორის სტოლის უფროსის ალექსი ა. დავითაშვილის ოთახში ღამის ოთხ საათზედ გადაბრძანდა ფანჯრიდამ ვიღაც ხელ-უკუღმართი და ტანისამოსი წაიღო. ბ-ნმა დავითაშვილმა იმ დღესვე გამოაცხადა, მაგრამ, როგორც ვიცით, ვერ უპოვნიათ ბოროტ-მოქმედი. ამავე ქუჩაში იყო, რომ გასტეხეს ორბელიანთ პატარა ეკკლესია და გაიტანეს ნივთები. ამავე ქუჩაზედ ორბელიანთ სახლის კედელზედ დაასვეს ლურსმები საფეხურებათ და აბრძანდნენ ფანჯარაში, მაგრამ წაუხდათ ბოროტი განზრახვა და უკუ იქცნენ. რომ უყურადღებოდ არ იყოს ეს ქუჩა მიტოვებული, ნუ-თუ ასე თამამად და ასე ზედი-ზედ ჩაიდენდნენ ავაზაკობას? გარდა ქურდობისა, რა უწესობა გნებავთ, რომ აქ არ ხდებოდეს. ქუჩაში თავმოყრილ უსაქმურ ბიჭ-ბუჭებისაგან მოხუცებულს და რომელიმე დავრდომილს ადამიანს შიშით ვერ გაუვლია აქ, ისეთს ყიჟინას დასცემენ უშვერის სიტყვებით და ისე გააწბილებენ, რომ შეგებრალებათ; მთელი დღე კედელზედ ფულის მირტყმას თამაშობენ, მოსდით ჩხუბი, არის ერთი ალიაქოთი, მაგრამ ვინ არის ან ხმის გამცემი, ან დამშლელი? ამავე ქუჩის ახლო-მახლო ბრძანდებიან თურმე ის ღამის რაინდებიც, მაგრამ უბანი შიშით ვერ ამხელს მათ, როდესაც იკარგება რამე, რადგან ეშინიანთ მათი.

*** როგორც იტყობინებიან სიღნაღის მაზრაში კალია სრულიად გაუწყვეტიათ ამ ჟამად („ტფ. ფურც.“).

*** ორსა და სამს თიბათვეს შუა სუხუმის ეპარქიაში ბარმიშის სამრევლო ეკკლესია გასტეხეს ქურდებმა და წაიღეს სამღვდელო სტიხარი. ადგილობრივმა ეპისკოპოზმა არსენმა განკარგულება მოახდინა და მისწერა ბლადოჩინს, რომ მიეღო მას პოლიციის დახმარებით საშუალება ქურდების აღმოსაჩენად.

*** დუშეთი: აქ ვაზს ერთგვარი ავადმყოფობა გაუჩნდა, რომელიც ხალხს ვერ გაურჩევია და ვერც შეუტყვია, თუ რა არის. მარცვალი უხმება ვაზს თურმე და სცვივა.

*** სოფ. დიდი ჯიხაიში: აქ აგერ ერთი თვეა მძვინარებს ყვავილი. აქედგან თავის დროზედ აცნობეს, სადაც ჯერ იყო, მაგრამ მათი მზრუნველობა ამცრელის გამოგზავნით გათავდა. ამცრელი მოვიდა, აუცრა ყველას და მორჩა. ნეტა ვიცოდეთ, ასეთს მდგომარეობაში თუ არა, მაშ როდის უნდა მოგვეშველოს ეს ჩვენი მაზრის ექიმი? სოფელი გაჭირვებულს მდგომარეობაშია: ყოველს ოჯახში ნახავთ ავადმყოფს; ამ გახურებულ მუშაობის დროს მუშა კაცი ან თვითონ არის ავად და ან ავადმყოფი ჰყავს, ორივე შემთხვევაში სახლში ზის გულ-ხელ-დაკრეფილი. მივმართავთ კიდევ, მიაქციონ ყურადღება, ვისიც ჯერ არს და ნუ დასტოვებენ სოფელს ღვთის ანაბარად.

*** იქიდგანვე: ჩვენში ეხლა კარგი ამინდებია. სიმინდი დიდს იმედებს იძლევა ჯერ-ჯეროპით. პურის მოსავალი ძლიერ ნაკლებია ჩვენში. ამბობენ, პური ბევრმა წვიმებმა წაახდინაო. ვენახები ძალიან ცუდს მდგომარეობაშია: ისე თხლათ ასხია, რომ ვენახში ჩასვლა დაგეზარებათ. მილდიუ მეტის მეტი აქვს წელს. ექიმობით ბევრს არ უექიმებია, თუმცა ყველა დარწმუნებულია მის წამლობის საჭიროებაში. ამის მიზეზი გახლავთ მეტის-მეტი ქესატობა. სიმინდი აქეთ ეხლა ფუთი თხუთმეტ შაურამდის არის, მაგრამ ჩვენში გასასყიდი არავისა აქვს.

*** სად. საჯავახო: ივნისმა თითქმის ცუდი ამინდებით გაიარა ჩვენში. წვიმა და ქარი გამუდმებით ეცვლებოდა ერთი მეორეს. როგორც მოგეხსენებათ, გურიაში ძალიან მისდევენ მეაბრეშუმეობას, მაგრამ შრომის შესაფერს ნაყოფს-კი ჯერ ჯერობით ვერასა ვხედავთ. აგერ სამი კვირაა, რაც საჯავახოს სადგურიდგან ას-ასი ფუთი პარკი იგზავნება ყოველ დღე. მოდიან ბერძნები, პარკად ყიდულობენ და ზოგს სად აგზავნიან და ზოგს სად, ვინ მოსთვლის. უმეტესი ნაწილი პარკისა ლანჩხუთში მიაქვთ, რადგან იქა აქვთ სააბრეშუმო ქარხანა; რამდენსამეს-კი ხონსა და აბაშაში გზავნიან. ჩვენებურების გამოუცდელობით დიდად სარგებლობენ ეს მოსული ვაჟბატონი — ბერძნები. ერთ ფუთ პარკიდგან ამოხვეულმა აბრეშუმმა დაამტკიცა, რომ მყიდველმა ფუთ პარკში 15 მანეთიც რომ მისცეს, მაინც მოგებას ნახავს და ეხლა-კი, როდესაც ფუთ პარკს 8—9 მანეთად ყიდულობენ, ეჭვს გარეშეა, რომ მყიდველი ერთი ორად იგებს სხვის ნაშრომ-ნაამაგევით.

*** იქიდგანვე: ჩვენსკენ მოსავალს ჯერ-ჯერობით კაი პირი უჩანს. სიმინდი ისე მშვენიერად ბიბინებს ყანებში, რომ თვალსა და გულს გაუნათლებს კაცს იმისი ნახვა. თუ ივლისმა და აგვისტომ ჩვეულებრივად გვალვა არ დაიწყო, იმდი გვაქვს, დიდ-ძალი ჭირნახული მოვა ჩვენში.

# დამაკვირდი

ანგარი მეგობარი და შევარდენი ორივე ერთის ზნისაა, — ორივე თანასწორად

---

აქვს დასაბუთებული ბ-ნ ნიკოლაიონს ერთ თავის წერილში [1]) ამერიკელ მუშების მაგალითით. საკვირველიც არ არის: ევროპელ რუსეთში საშუალო წლიური ქირა საფაბრიკო მუშისა მხოლოდ 187 მან. და 60 კ.-ია, და ამერიკელი მუშისა, მაგალითებრ, ხუთჯერ მეტი [2]).

მოწიფული [3]) მუშა-კაცი ამერიკაში დღეში 5,06 გირვანქა საჭმელს სჭამს, რომელშიაც 2,09 გირვანქაა ხორცი. მოსკოვის ფაბრიკის მუშა-კი მხოლოდ 3,92 გირვანქას, რომელშიაც მხოლოდ 0,32 გირვანქა ხორცია. მისი უმთავრესი საჭმელი შავი პური, Гречневая крупа и квашеная капуста არის.

თუ საჭმელ-სასმელის უქონლობა ხელს აღებინებს კაცს უმაღლეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, მეტადრე ავადმყოფობა, რომელიც არის, თავის მხრით, შედეგი საჭმლის უქონლობისა. და, წარმოიდგინეთ, რუსეთში, საშუალო რიცხვით, თვითო კაცი წელიწადში 1,6—ჯერ ხდება ავად. როგორც ავადმყოფობა, აგრეთვე მოქმედებს სიკვდილი და ყოველივე უბედურება კაცის თავზე. ხოლო არსად არ არის ისე ხშირი სიკვდილი, როგორც რუსეთში. მაგალითად, 1878—1887 წ. წელიწადში ყოველ ათას კაცზე კვდებოდა:

| | | |
|---|---|---|
| ავსტრიაში | 30 | კაცი |
| იტალიაში | 28,1 | „ |
| გერმანიაში | 25,7 | „ |
| საფრანგეთში | 22,3 | „ |
| ბელგიაში | 20,9 | „ |
| შერთებულ სამეფოში | 19,5 | „ |
| დანიაში | 18,8 | „ |
| შვეციაში | 17,4 | „ |
| ევროპელ რუსეთში | 33,7! | „ |

არც-ერთ ევროპის სახელმწიფოში არ არი ისე გავრცელებული ბავშვების სიკვდილი, როგორც რუსეთში: 26,9% დაბადებულთა ერთ წლამდისაც ვერ მიაღწევს ხოლმე რუსეთში. შენიშნულია, რომ ევროპაში ამ უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში თან-და-თან კლებულობს სიკვდილთა რიცხვი, რადგან ხალხის საზრდოც თან-და-თან მატულობს. რუსეთში კი სიკვდილთა რიცხვი ხან კლებულობს, ხან მატულობს, საზოგადოდ კი თითქმის არ შემცირებულა.

მრეწველობის განვითარებას ძლიერ ხელს უშლის აგრეთვე მუშების სხეულის გალახულობა, დაქანცულობა, სიზანტე, სიზარმაცე, სიდუხჭირე, და სხვ. ერთის მხრით, მიტომ, რომ ამგვარი მუშის მწარმოებელი ძალა ერთობ დაბლა დგას, და მეორე მხრით, რადგან აგრეთვე დაბლა დგას მისი მოთხოვნილებაც. შეიძლება თქვას ვინმემ, რომ უმაღლეს მოთხოვნილებათა დასაჩაგვრელად საჭმლის ნაკლებობაც კმარაო, რაღა საჭიროა ამისათვის კიდევ სხეულის დაქანცულობაში და სიდუხჭირეში ვეძიებდეთ მიზეზსო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ხსენებული ნაკლულევანებანი თავის-თავად ცოტათი მაინც შეუმცირებენ თვითეულ ადამიანს მოთხოვნილებათა. და რომ შევაერთოთ ყველა ის, რაც ამით დააკლდება რუსეთის სამრეწველო ბაზარს, ცოტა არ გამოვა: წვეთი-წვეთიდგან ზღვა შესდგებაო.
აგრეთვე მოქმედებს ლოთობაც, რადგანაც ლოთი თავის მონაგარის არა მცირედ ნაწილსა ხარჯავს დუქნოში ან არაყში. მაგრამ ამით, თუმცა ბევრი აკლდება ეგრედ წოდებულ საქარხნო მრეწველობას (обработывающая промышленность), ემატება, სამაგიეროდ, არაყის წარმოებას.

ვნახოთ, ყველა ამის შესახებ რას გვეუბნებიან ფაქტები?

1885 წ.—1889 წ., როგორც სჩანს საექიმო დეპარტამენტის ანგარიშიდან, გაყვანილთა 38,8% დაწუნებიათ სამხედრო სამსახურისათვის. ამათში 13,5% ავად-მყოფობისა და სხეულის ნაკლულოვანებათა გამო, 3,8%, რადგან ნამეტანი ტან-მდაბლები და სუსტები ყოფილიყვნენ და 21,5%-სთვის ვადა გადაედოთ, რადგან ჯერ კიდევ ერთობ სუსტები ყოფილიყვნენ და არ დამთავრებულიყვნენ.

გამომკვლეველნი ამბობენ, რომ რუსის მუშა ერთობ უგუნებოდ, ზანტად მუშაობსო. რუსის მუშების ლოთობა ხომ განთქმულია. ეს ლოთობა ორგანიულ თვისებას კი არ შეადგენს ერისას. არამედ, როცა კაცს, სხეულის მოქანცულობის გამო, სიცოცხლე აკლია, ეს სიცოცხლე ხელოვნურად უნდა ღვინით აღაგზნოს, ღვინით მოიცეს.

ვისაც სხეული დასუსტებული აქვს და ათას-გვარი უბედურება თავზედ აწევს, ის, რასაკვირველია, მუდამ ცუდკონებაზედ იქნება და გლებ უსპენსკიმ აღგვიწერა შესაზარი მაგალითები რუსის ღარიბის გლეხების სიავისა და გახელებისა.

აკკერმანის (მოსკოვის კუთხეა) მაზრაში გამოიკვლიეს (ექიმებმა, რომელიც იყვნენ მოწოდებულნი ხალხის ჯან-მრთელობისათვის მზრუნველ საზოგადოებისაგან) შვიდი გლეხის ოჯახი, რომელთაც ყოველთვის აკლდათ საჭმელი. ამ ოჯახების წევრები ყველა სუსტები იყვნენ, დაქანცულები და ადრე მოხუცებულები. თვრამეტი წლის ქალიშვილები ტანით და სისუსტით ათის წლისას გვანდნენ. ამგვარივე ნაკლი საჭმლისა აღმოჩენილ იქმნა მოსკოვის გუბერნიის სხვა მაზრებშიაც და აგრეთვე ნოვგოროდის გუბერნიის ჩერეპოვეცკის მაზრაში.

კარხანოვის მაზრაზე ექიმი ბოგდანოვი ლაპარაკობს. „აქ სულ ტანდაბალი ხალხია, ხანგრძლივი ჯაფის, მედგარი შრომის ატანა არ შეუძლიანთ. ქალები არიან ფერ-მკრთალები, უტანადოები, ძლიერ ადრე ბერდებიან, ხშირად ჰშობავენ მკვდარ ბავშვებს და უფრო ხშირად გათხოვებამდის მშობიარებენ. ბავშვები თითქმის, სულ-ყველა ყვითლები, დაქანცულები, ფერ-მკრთალები არიან და ყოველთვის ავადმყოფობენ.“

(შემდეგი იქნება).

---

[1]) Апологія власти денегъ, какъ признакъ времени. Русское Богатство. 1895 г. мартъ.

[2]) იხ. ხსენებული წერილი თებერვლის ნომრისა და შესანიშნავი გამოკვლევა იმავე ავტორისა: Очерки нашего пореформеннаго хозяйства.

[3]) ეს ცნობები ისევ მარესსის წერილიდან არის.

სტოვებს მკვდს ადგილს, როცა ზეგარა შემოაკლდება.

**

ხალხი და უმაწვილი ორივე თანასწორ ადვილად დასაჯერებელია. ერთიცა და მეორეც შეპირებით დაკმაყოფილდება.

**

იესო ქრისტე რომ ჩვენს დროში ყოფილიყო, ხელ-მეორედ ჯვარს აცმიდნენ—იუდას-კი დიდს ადგილს მისცემდნენ.

თრაზიბულ.

## კორესპონდენცია.

**ახალ-ციხე:** მთელი ახალ-ციხის მაზრა შიშითა ძრწის. მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ამ მაზრაში დღეს ორი ყაჩაღთა დასი დანავარდობს თავისუფლად. ყაჩაღები შეიარაღებულნი არიან ახალის სისტემის თოფებით და საკმაო პატრონებით. რა ქნას მათთან ჩვენებურმა სოფლელმა, როდესაც მას თან ჯოხის მეტი არა დააქვს-რა! არამც თუ თან, შინაც-კი ჩვენებურს გლეხს იარაღი არ მოეპოვება. ეს ყაჩაღებმა კარგად იციან და თავისუფლად დანავარდობენ არამც თუ ღამე, დღისითაც-კი შიგ შუა სოფელში. ყაჩაღებმა ისიც იციან, სად რა, ან ვის რამდენი ფული აქვს ჯიბეში. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მათ ეხმარებათ ვინმე სოფელში მცხოვრები. ამ დღეებში ყაჩაღებს შეეყენებინათ ახალ-ქალაქში მიმავალი დურგალი. დურგალს ძალიან გაჰკვირებოდა, როდესაც ყაჩაღებს მეეთხოვნათ მისთვის იმდენი ფული, რამდენიც მას ყაჩაღების აზრით სამუშაოზედ უნდა აეღო. მაგრამ დურგალს სამუშაო ვერ გაეთავებინა და ამიტომ ყაჩაღები მოტყუებულნი დარჩნენ ანგარიშში. ზოგს მდიდარს, თუ ჯიბეში ფული არა აქვს, ტყვეთ წაიყვანენ ხოლმე და იმ დრომდის არ უშვებენ, ვიდრე პატრონები სასყიდელს არ მიართმევენ. ჯერ-ჯერობით ყაჩაღებს არავინ მოუკლავთ. ან-კი რა საჭიროა მოკვლა, როდესაც მათ წინააღმდეგობასაც-კი ვერავინ გაივლებს გულში. ან რით გაუწიონ წინააღმდეგობა? როდესაც როგორც ზევით მოგახსენეთ არც შინ და არც გარეთ იარაღი არა აქვთ. უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა შეეჩვია თავისს მდგომარეობას და ხმა-ამოუღებლივ ემორჩილება მათ. შიშითა და ძრწოლით მიაქვს გლეხს ყაჩაღებთან ხარკი დატყვევებულთა გამოსახსნელად, და ეშინიანთ, არ განარისხონ, რათა არ სცადონ მათ მახვილს, ან საცხოვრებლის გადაწვას.

—

**დიდი ჯიხაიში,** (ქუთაისის მაზრა). კვირას, 25 ივნისს, აქაურ საქალებო სკოლის სასარგებლოდ სკოლის მასწავლებლის ქნის ნონო ტყეშელაშვილს, დავით დევიძისა და სკოლის მზრუნველის იუსტინე კანდელაკის თაოსნობითა და სხვა პირების დახმარებით გამართეს სკოლისავე ბაღში სეირნობა-ლატარია. ამ დღეს კარგი ამინდი იყო; საკმაოდ გრილოდა და საზოგადოება ძალიან ბევრი დაესწრო. გარდა მახლობელ სოფლებიდგან მოსულებისა, ბევრს ნახავდით შორეულ სოფლებიდგან მოსულებსაც. ქალ-ვაჟი-ნახევარი ბაღი ძლივს იტევდა მოსეირნეთ. ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირდა ორი შაური, ლატარიის ბილეთი აბაზი. ლატარიისათვის ნივთები ზოგი თვით სკოლის მოწაფე ქალებმა თავისი ხელ-საქმე შემოსწირეს, ზოგი გარეშე საზოგადოებამ და ზოგიც ნაყიდი იყო. სეირნობა დაიწყო ხუთი საათიდგან და განგრძო თერთმეტამდის. წესიერების დასაცველად აქ იყო და ადგილობრივი ბოქაული ბ. ივლიანე ქავთარაძე თავისს თანაშემწეთი. სეირნობის დროს უკრავდა სამტრედიიდგან მოსული რკინის გზის მოხელეთა სამხედრო მუსიკა და გალობდა გურულ-იმერულს სიმღერებს ადგილობრივი მგალობელთა გუნდი. მეტის მეტად სასიამოვნოდ იგალობეს გურულ-იმერული სიმღერები. შებინდებისას ბაღი გაჩირაღდნეს.

საზოგადოების კმაყოფილებას საზღვარი არა ჰქონდა. ლატარიის თამაში გათავდა ცხრა საათზედ. ბილეთები რიცხვით 400 სულ გაიყიდა. თერთმეტ საათზედ მუსიკა წავიდა. საზოგადოდ დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. სულ შემოვიდა 140 მან. ხარჯი 70 მან. წმიდა შემოსავალი 70 მანეთი. ეს პირველი ცდა იყო ჩვენს სოფელში-კი არა, ვგონებ, მთელს საქართველოში, რომ სოფლებში ლატარია-სეირნობა იყოს გამართული. იმედია შემდეგში უფრო რიგიანად გამართვენ.

აქაურ სკოლების მზრუნველმა თავ. ალექსანდრე მერაბის ძე ჩხეიძემ შემოსწირა ფულად 11 მან.

უგულითადესს მადლობას ვუძღვნით სკოლის მზრუნველს იუსტინე კანდელაკს, მასწავლებელს ქ-ნს ტყეშელაშვილისას, ნატალია ლორთქიფანიძისას, ანნა ჩარკვიანისას, აგრაფინა ნიჟარაძისას და დავით დევიძეს გამართვისათვის და შრომის მიღებისათვის; ადგილობრივს ბოქაულს ივლიანე ქავთარაძეს სამხედრო მუსიკის უფასოდ მოყვანისათვის, თავად ალექსანდრე ჩხეიძეს შემოწირულებისათვის და აგრეთვე ყველას, ვინც-კი დაესწრო ან ხელი შეუწყო ამ კეთილს საქმეს. იმედი გვაქვს, საზოგადოება შემდეგშიაც არ მოგვაკლებს თავისს ყურადღებას.

დიდ-ჯიხაიშელი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

გაზ. „National Zeitung“-ი ამბობს რუსეთის პოლიტიკის შესახებ:

„ახალი პოლიტიკა რუსეთისა იმპერატორის ალექსანდრე მესამის გზას ადგია, ე. ი. ცდილობს განამტკიცოს რუს-ფრანგთა მეგობრობა, რომ სამთა კავშირმა არ დასძლიოს, დაიცვას დროებით Statu quo ბოლკანეთის ნახევარ-კუნძულზედ და წაიწიოს ოსტ ინდიისა და დიდ ოკეანესაკენ. ევროპას შიში არ უნდა ჰქონდეს ჯერ რუსეთისაგან მისს საქმეებში გარევისა, თუმცა, ეჭვი არ არის, ამ უკანასკნელს დროს რუსეთის პოლიტიკა აქტიური შეიქმნა და ეს გარემოება სახეში უნდა ვიქონიოთ“.

—

სტამბოლიდგან გაზ. „ტაიმს“-ს კორესპონდენტი სწერს, რომ მალე მთავრობას აღარ შეეძლება ჯეროვანად თვალ-ყური ადევნოს ბულგარიის საქმეთა მიმდინარეობასა. ერთ დიდად სახიფათო ნიშანს საქმის გამწვავებისას კორესპონდენტი შემდეგს გარემოებას ასახელებს:

„ბულგარიის მხედრობას აშკარად ემჩნევა, რომ მხარს აძლევს აჯანყებულთ. ჯარში ასზედ მეტი აფიცერი მაკედონელია. ზოგიერთი მათგანი აჯანყებულთ მიემხრო. ბულგარიის აფიცრების ხასიათი, რომ შესამჩნევი მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკაში, ყოველთვის მავნებელი ყოფილა სამხედრო დისციპლინისთვისაო, ამბობს კორესპონდენტი. სოფიაში ათი-ათასამდე მაკედონელი ხელოსანია და ამათ შეუძლიანთ შიში აგრძნობინონ მთავრობას, თუ იმედი არ ექნება მხედრობის ერთგულობისა. შეამბოხეთა წინამძღოლებში ბევრნი იმისთანანი ურევიან, რომელნიც არა თუ ბულგარიის მთავრობას უყურებენ მტრულად, არამედ მეფის ოჯახსაც. ისინი მზად არიან, საქმე უკიდურეს მდგომარეობამდის მიიყვანონ. საკვირველია, რატომ პორტა არ შეასრულებს მაკედონელ ეპისკოპოსების თხოვნას და მით არ განაძლიერებს ბულგარიის მთავრობას. ახლოა ის დრო, როდესაც ევროპის სახელმწიფონი აიძულებენ პორტას რეფორმები შემოიღოს მაკედონიაში და მით ერის მდგომარეობა გააუმჯობესოსო.

პორტა ეხლა ჯარების გაძლიერების თავდარიგშია მაკედონიაში. იმ მხარეებში, სადაც ამბოხებაა, საზღვრებზედ სამოცათასამდის ჯარი უყენია, მაგრამ თუ ამბოხებამ თავისი სამოქმედო ასპარეზი გააფართოვა, ეს ჯარი საკმაო არ იქნება წესიერების დასამყარებლად. ამიტომ პორტამ ან ალბანელი ადგილობრივი ჯარი და ბაში-ბუზუკები უნდა მოიხმოს, ან მცირე აზიიდგან უნდა მოიყვანოს ჯარი. პირველ შემთხვევაში საქმე ისე გამწვავდება, რომ ევროპა უეჭველად ჩაერევა, მეორე შემთხვევაში-კი სომხების საერთო აჯანყება მოხდებაო.

## ბიბლიოგრაფია.

—

„ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“

აღწერილი პ. ე. იოსელიანის მიერ.

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.

ჩვენმა ისტორიკოსმა პ. იოსელიანმა, სხვათა შორის, დაგვიტოვა შესანიშნავი თხზულება: «ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა». იქ შეკრებილია საისტორიო მასალები და იმგვარი მასალები, რომლების უმეტესი ნაწილი, უეჭველად, დაიკარგებოდა, რომ პ. იოსელიანს არ აღეწერა ისინი.

ჩვენი ისტორიკოსი იცნობდა თითქმის ყველა იმ პირებს, რომელნიც იყვნენ დამსწრე საქართველოს უკანასკნელის მეფის ცხოვრებისა და რომელნიც იოსელიანის დროს, ე. ი. პირველ ნახევარს ჩვენის საუკუნისას, ცოცხალნი იყვნენ. ამ პირებიდგან აქვს შეტყობილი იოსელიანს ის, რასაც ჩვენ გადმოგვცემს იგი.

წიგნი დაწერილია პ. იოსელიანის ჩვეულებრივ კილოთი—ღრმა ქართულ ენით. მიუხედავად ამისა, იგი დიდის ინტერესით იკითხება. დახელოვნებულს ისტორიკოსს, მარტო ამ წიგნის ხელმძღვანელობით, შეუძლია დაწეროს მე-XVIII საუკუნის დამლევის საქართველოს ისტორია, დაასურათოს იმ დროის გამოჩენილნი მოღვაწენი, ჩვეულება, ცხოვრება და სხვა.

ჩვენი ისტორიკოსი ღრმა მორწმუნე კაცია. დაწვრილებით და სიყვარულით მოგვითხრობს, თუ რა ფრიად ღვთის მოსავი კაცი იყო მეფე.

იოსელიანი პოლიტიკაშიაც თითქმის იმავე აზრისაა, რაგვარის აზრისაც იყო გიორგი მეფე.

პლატონი ცდილობს გაამართლოს მეფის საქციელი, და თანვე ცდილობს არ ასცდეს ისტორიკოსის უმთავრესს დანიშნულებას —სიმართლეს, და ამის გამო მის თხზულებაში მეფის ნამდვილი სურათი იხატება.

მეფე გიორგი იყო მაღალი ტანის ძლიერ სრული კაცი. ბოლოს ისე დამძიმდა რომ ცხენზე ვერა სჯდებოდა. სახით მეფე, როგორც მოგვითხრობენ ზოგიერთნი მისი თანამედროვენი, ლამაზი კაცი იყო, თუმცა დარჩენილ მეფის სურათიდამ არა სჩანს. მას ჰქონდა იმ სიდიდე ცხვირი, რომ პირჯვრის წერის დროს ხელს მოირტყამდა ცხვირზეო. სამაგიეროდ ძალიან ლამაზი ხელები ჰქონია. ბარბარე ქობულიშვილისა სწერს იოსელიანს: არშიყი იყო თავის ხელებისა; დაიბანდა ათის კვერცის გულითა, მას უკან სურნელის საპნითა.

მეფე ძლიერ ფაქიზი და სისუფთავის მოყვარე იყო. სახლს ხშირად ასუფთავებინებდა.

ფული თუ გახეხილი და საპნით გარეცხილი არ იყო, ხელს არ მოჰკიდებდა. ერთხელ სარტყელი გადააგდებინა წყალში, რადგანაც სხვამ მოჰკიდა ხელი.

მეფე საშინლად ბევრსა სჭამდა; მადა მარტო სიკვდილის წინა დღეს დაეკარგა. დაცინვით ამბობდენ, რომ ყოველ დღე თითო ხაქს სჭამსო. მ. გიორგი სრული სამი საათი იჯდა ადილზედ და სწორედ ამდენივე დროს სახელმწიფო საქმისათვის ჰქონდა გადადებული; დანარჩენი მისი დღე მიდიოდა ლოცვაში, ძილში და თავის მოვლაში. ჩინებულად ქონდა შესწავლული საღმრთო ისტორია; გარდა ამისა იცოდა სომხური და თათრული. ბერძნული ენის სწავლებასაც მოჰკიდა ხელი, მაგრამ ვერ სრულ ჰყო სიკვდილისა გამო მასწავლებლისა (თეოდორე ეპისკოპოსი—ბერძენი) და დროთა გარემოებათა გამო. მეფე გიორგი „მოისურვებდა ფილოსოფოსთა ძველთა სწავლის მოსმენათა“ გამოჩენილმა ანტონ კათალიკოზმა ბევრი ეცადა, რომ დაესწავლებინა მეფის ძისათვის სამეცნიერო საგნები, მაგრამ გიორგიმ ნაყოფი ვერ გამოიტანა და ამბობდა: „არ მესმის ესე; ვნაყავ წყალსა“.

მეფემ მთელი სიცოცხლე გაატარა ლოცვაში; გარეშემო მუდამ ბერები, მღვდლები და პატრები ეხვია... ბევრად უმჯობესი იქნებოდა ბერად შესულიყო, როგორც ქვეყნისათვის აგრეთვე თითონ მისთვისაც. სარწმუნოებაში და მარტო სარწმუნოებაში ეძებს იგი გამოხსნას ყოველ გაუბედურებისაგან. შეიტყო მეფემ, რომ მისი ძე დავით, აღზრდილი რუსეთში „მარხვას სჭამდა და სარწმუნოებაზედ სუსტად იყო“. მეფე უგზავნის მოციქულს: „თუ ჩემი სიამოვნება გინდა, მარხვის ჭამაზედ ხელი აიღე და ეკკლესიაში ხშირად იარე“. იმან შემოუთვალა: „რაც მე მწამს, ის შენ გაგიწყრეს და შენ რაც გწამს, მე გამიწყრესო“. მაშინ (მეფემ) ბრძანა ფსალმუნი ესე: „დადგა იგი ყოველსა გზასა და ბოროტი მას არ მოეწყინა“.

სხვათა შორის, ერთი შესანიშნავი საუბარი მოჰყავს იოსელიანს მეფის და პატრისა (გვ. 87, 88).

პატრი ნიკოლა... არლაა მუნ (საფრანგეთში) აგერ მრავალი წელიწადია არცა წირვა, არცა ლოცვა, არც ქორწინება, არც მღვდელი და ეპისკოპოსი; 25 მილიონი წარმართად არიან გარდაქცეულნი, ვინ ჰქნა ესე? უკეთურმა მწერალთა ვოლტერმან და სხვათა, მეფევ!

მეფე: ვოლტერი? მეგობარი ჩემის შვილისა დავითისი, ჩემის მემკვიდრისა. ვაი შენ გიორგის, რუსეთში მყოფმან ჩემმან შვილმან შეისწავლა მისი ურჯულო ჰსწავლა; მოიტანა აქა მისი სახე, რომელიც სამართლად დავსწვი ცეცხლსა. ღმერთი წარუმართებს რუსთა და კეისარსაცა (რომელნიც ებრძვიან საფრანგეთს). თვით მაცხოვარი ჩემი შეეწევა მათ. ქრისტეს გარეთ რალაა კაცი? უკეთესსა ვინ გვასწავებს. მეორე არიოზ ყოფილა, უნდა იყოს ის შეჩვენებული“.

მეფე მუდამ მიწერ-მოწერაშია შესახებ გაუჯრებისა, ნაწილებისა, ხატებისა და სხვა.

მეფე გიორგის უყვარს წირვა-ლოცვა, სმა-ჭამა, ოჯახში დროს გატარება. ერთს ადგილას იოსელიანს აქვს მოყვანილი, რომ იწილო-ბიწილოს ეთამაშება ბავშვებს. თუ გნებავთ მეფე ძლიერ კარგი კაცია, მაგრამ იგი არ არის ნამდვილი სარდალი თავის მამას სულ არა ჰგავს, არ არის ხეირიანი ადმინისტრატორი, არა აქვს მტკიცე ხასიათი, რომ გავლენა იქონიოს ნათესავებზედ და თავად-აზნაურობაზედ, არა აქვს შორს გამჭვრეტელობა რომ დაინახოს, თუ მისს პოლიტიკას რა შედეგი მოსდევს, ერთი სიტყვით, როგორც მეფე სრულებით არ ემზგავსება თავისს გამოჩენილ წინაპარს.

აი ეს საწყალი მეფე და უბედური ადამიანი ადის საქართველოს ტახტზედ იმ დროს, როცა ქვეყანა ახლად აოხრებულია მტრისაგან, საქართველოს გარეშემო ჰყავს დაუძინებელნი მტერნი. ამგვარსა და უფრო უარესს მდგომარეობაში ბევრჯელ ყოფილან ჩავარდნილნი საქართველოს მეფეები, მაგრამ ისინი ან პირნათლად გამოსულან განსაცდელისგან და ან შეუწირავთ თავი ქვეყნისათვის.

მეფე გიორგის საუბედუროდ ამათთან დაემატა ერთი უდიდესი უბედურობა: თვით სამეფო სახლში სუფევს განხეთქილება.

მის დროს სამეფო სახლი ძლიერ გამრავლებული იყო. მეფე ირაკლის ჰყავდა თოთხმეტი შვილი, გიორგის თექვსმეტი, ახლა რძლები, სიძეები, მათი შვილები, შვილი-შვილები, ნათესავები, ქვრივები.

ირაკლის სიკვდილის რამოდენიმე დღის წინად, დედოფალმა დარეჯანმა გამოსტყუა მას ანდერძი, რომლითაც გიორგის შემდეგ მემკვიდრეობა რჩებოდა არა მის პირმშო შვილს, არამედ უმცროს ძმას და ამგვარად მემკვიდრეობა გადადიოდა შემდეგ ძმებზედ, მერე გიორგის შვილზედ. სოფლიო ისტორიიდგან ვიცით, რომ მემკვიდრეობის ამ გვარ წესდებულებას დიდი არეულობა მოსდევს. რუსეთმა მოსკოვის პერიოდამდე დიდი გაჭირვება გამოიარა ამისთანა მემკვიდრეობის გამო. დღეს ზოგიერთ აღმოსავლეთ სახელმწიფოებში, მაგალითად სათათრეთში, ამგვარივე წესწყობილებაა და ჩვენ ვხედავთ, თუ რაგვარი შედეგი მოსდევს მას.

გარდაიცვალა ირაკლი მეორე.

დარეჯან დედოფალი იძახის: „მე მინდა მეფობა, ვითარცა ეკატერინე იყო დედოფლად რუსეთში“. დედოფლის ახლობელი კაცი ყორღანაშვილი „გაბედვით იტყოდა უჯეროა ილუყვაოა მეფისათვის“ (გიორგისათვის). განრისხდა მეფე. ყორღანაშვილი დაიმალა დედოფალთან. მაშინ

ბრძანა (მეფემ): რა ვქნა, გამოვათრევინო დედუფლის სადგომიდგან მყრალი ყორღანაშვილი, შესწუხდება დედაჩემი (დედი-ნაცვალი), მოხუცი განრისხდება და იტყვიან, მეფე გიორგი ნერონი არისო: დედა შეურაცხჰყო, უტევეთ, იყოს მუნ პყრობილად.

ძმა მეფისა იულიონ გამცფდა ქართლში და „ელიარებდა უფლებასა თვისსა ტახტისათვის ანდერძის გამო მეფისა ირაკლისა.

ვახტანგ ანუ ალმასხან არაგვის გამგე „ჰგონებდა თავსა თვისსა არა დამოკიდებულ მეფისაგან, ვითარცა ბატონი და ერისთავი ძველთა წესითა არაგვისა.

მირიან გაბატონდა მარტყოფსა.

ფარნაოზ სურამს და უწოდებს თავისს თავს: მეფე ფარნაოზ. ალექსანდრე ივლტოდა სპარსეთს.

პ. იოსელიანი ამბობს, „შემდგომში, როცა საქართველო რუსეთს ჩაბარდა, პეტერბურგში ანგლიის სასახლეში საქართველოს მეფის ძენი და ასულნი ,,სიცილით მოიგონებდნენ საქმეთა წარსულსა‘‘. ამაზედ იტყვიან: „КОШКѢ СМѢХЪ, а МЫШКѢ ЕЛЦЫ“. თუმც არც იმათ უცინიათ ზევრი. ,,მეფის ძე მემკვიდრე დავით, ურჩი მამისა, და მგონებელი ბრძნად თვისისა, უმეტეს მამისა (169)“. იგი სტოვებს თავისს დანიშნულს სარდალის ოთარ ამილახვრის ქალს ელენეს და ჯვარს იწერს სომეხ ვაჭრის აბამელიქის ქალზედ, რადგანაც ამას დიდი მზითვი აქვს. მეფე დასთანხმდა, რადგანაც „ქორწინებითა ძე მისი დავით გამოვიდოდა ცოდვიდამ და განუტევებდა ბაყალ ავეტიქას ქალსა, შეყვარებულს ადრითვე“.

მუხრან-ბატონი არ არის მეფის ერთგული; აგრეთვე ბევრი თავად-აზნაურობათაგანი იდუმალად მტრობენ მეფეს.

ვგონებ სამღვდელოება მაინც უნდა ყოფილიყო მეფის ერთგული, მაგრამ არც აქ ვხედავთ ერთპირობას. მაგალითად მღვდელ იოსებ თურქი-სტანის შვილს ეკუთვნის მეფეზედ თქმული სიტყვები: „ეს აბაზიც ყალბია“.

მეფის ავადმყოფობის დროს დიდი არეულობა იყო მეფის ოჯახში იმის შესახებ, თუ მის შემდეგ ვინ ავიდოდა ტახტზედ. მეფის სიკვდილის წინა დღეს მარიამ დედოფალი დაეკითხა მეფეს: «ბატონო, რას უბრძანებთ შვილებსა ამათ! ვის აბარებთ თუ გვეწვია უბედურება რაიმე? დავით უნდა იყოს ამათი პატრონი? ანუ თქვენი ძმები? ანუ დედოფალი (დარეჯან)?—ბატონო დედოფალო, გაიგონე რა გიამბო; მე აუჩენ მათ პატრონსა დიდსა და ძლიერსა».

პლატონ იოსელიანი თავისს თხზულებას ათავებს რუსთველის სიტყვებით:

„დასრულდა ესე ამბავი,
ვითა სიზმარი ღამისა“.

ბევრად-ბევრი საგულისხმო რამ არის მოხსენებული იოსელიანის წიგნში და ჩვენ გაბედვით ვურჩევთ ქართველ მკითხველებს, გაიცნონ იგი.

დიდის მადლობის ღირსია ჩვენი დაუღალავი მოღვაწე ბ. ზ. ჭიჭინაძე, რომ გამოსცა ესრეთი ძვირფასი განძი. მადლობა მას მით უფრო ეკუთვნის, რომ წიგნების ბეჭდვა ძლიერ სადავიდარაბო საქმეა, მეტადრე მისთვის, ვისაც შეძლება არა აქვს დაბეჭდოს თავისს ხარჯით.

ოცნებელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულს გაზ. «ივერიაში» ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ: „ივერიის“ მე-134 №ში მე წავიკითხე კორესპონდენცია ბ. ან—ნასი, სადაც პატივცემული ავტორი დიდს ქება-დიდებას მიძღვნის, რომელზედაც დიდს მადლობას მოვახსენებ, მაგრამ ეს წერილი ზოგან სიმართლეს არის მოკლებული, მაგალითად ბ. ან—ნა ბრძანებს, რომ თ. სარდიონ ამირაჯიბმა თავისის ხარჯით იკისრა ეკკლესიის გადაკეთება და სხვა არავინ შეუწუხებია ამ საქმეში. ჩემდა სამწუხაროდ, მე იმოდენა შეძლება არა მაქვს, რომ ეკკლესიის აშენება მარტო შემეძლოს; ამ კეთილს საქმეს ბევრი თანამგრძნობელი აღმოუჩნდა, რომელთაც ფული არ დაიშურეს და დახმარება აღმოგვიჩინეს. ამის გამო პატივცემულ შემომწირველთ დიდს მადლობას ვუძღვნით. გარდა ამისა თვით ეკკლესიაშიაც იყო ცოტა ფული, რომელიც მასვე მოვახმარეთ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამ საქმისა გამო ეკკლესიას ცოტა ვალი დაედო, რომლიდგანაც ზოგი გადავიხადეთ და ზოგი კიდევ გადაუხდელი დარჩა. რადგან შემოწირულებას ჯერაც კიდევ არ შეუწყვეტია და ამ კეთილის საქმის დამხმარებელ-თანამგრძნობელნი ბლომად მოიპოვებიან, სრული იმედი გვაქვს ეს დაშთენილი ვალიც მალე მოვიშოროთ და მით ეს ჩვენი განზრახვა კეთილად დავაგვირგვინოთ. თავისს დროზედ შემომწირველთა სიასაც დავბეჭდავთ.

დავშთები თქვენი პატივის-მცემელი
თავ. სარდიონ ამირაჯიბი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

6 ივლისი.

**სოფია.** სტამბულოვი დილის 3 საათსა 35 წამზედ გარდაიცვალა. სულთა-ბრძოლა დაიწყო საღამოს ათ საათზედ. სიკვდილის წინ არა უთქვამს-რა. გარდაცვალების დროს დაესწრნენ ზოგიერთ გარეშე სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. პეტკოვი ამბობს, რომ ტიუფეკჩიევი, რომელსაც ის იცნობს, არ იყო ბოროტ მომქმედთა რიცხვშიო. „სვობოდა“ ამბობს, რომ მთავრობა რიგიანად არ იქცეოდა გამოძიების დროს, გაზეთის აზრით მთავრობა ხელს აფარებდა ბოროტ-მოქმედებას.

**ჰონკონგი.** მრავალი „შავი დროშები“ 60 მილის სიშორეზედ „ტაიპეს“ სამხრეთით თავს დაეცნენ იაპონელთ მცირე რაზმს და მამაცურად შეებრძოლნენ. ტაკტიკისა და დისციპლინის წყალობით იაპონელთ გადირჩინეს თავი და ჩრდილო-დასავლეთისკენ დაიწიეს.

**გავანნა.** ისპანიის ცხენოსანმა ჯარმა მარტინეც კამპოსის წინამძღოლობით დაამარცხა აჯანყებულთა 3000 ჯარი. აჯანყებულთ სარდალი ანტონიო მაკო დაჭრილ და ტყვედ წაყვანილ იქმნა.

**რომი,** ივლისი. კავალოტიმ საჩივარი შეუტანა სამსჯავროში კრისპის, რომელსაც ბრალსა სდებს მექრთამეობასა და ბოროტ-მოქმედებაში.

**სოფია,** 8 ივლისი. სტამბულოვს დღეს დაასაფლავებენ. სტამბულოვის ნათესავნი უარზედ არიან, რომ მთავრობამ მონაწილეობა მიიღოს დასაფლავებაში. სამძიმრის დეპეშები მოვიდა პრინცის კობურგისაგან, პრინცის უელსისაგან და ინგლისისა და რუმინიის მთავრობისაგან. ჟანდარმები, რომელთაც სტამბულოვის მხლებელი დაავეს, დათხოვნილ იქნენ სამსახურისგან და ხამართალში მიეცემათ. დანიშნულია იმ პოლიციის მოხელის შესახებ გამოძიება, რომლის ნაწილშიც მოხდა დანაშაულობა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,10 | — „ | 7,10 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 211 |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — ,, | — ,, | $100\frac{5}{8}$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% იმავე ბანკისა. . | $99\frac{1}{2}$ | — ,, | — ,, |
| 6% ტფილისის სათა-თავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — ,, | — „ |
| 5% იმავე ბანკისა | $99\frac{1}{2}$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99\frac{5}{8}$ | — ,, | — ,, |

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიციინსა ნავასარდიანი.

(857—1468)

ᲘᲐᲢᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘ ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ
კელერისა.

აგრეთვე კარებისა, კიბეებისა, ფანჯრის ჩარჩოებისა, ფანჯრის დასაყრდნობებისა და სხვა ხის ავეჯეულობისა: სამზარეულოში სახმარებელ მაგიდებისა, თაბხებისა და სხ., იყიდება ყველგან და ყველა ცნობილ ვაჭრებთან.

ზემოხსენებული საგნები ამ ფხვნილით საუცხოვოდ და მალე ირეცხება,—შეღებილები იქნებიან თუ შეუღებავები და იაფადაც ღირს.

(2—22—1).

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

(წელი მეთოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—96 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნავთონის ქუჩაზედ, ათვთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1596—3).

დამზღვევი საზოგადოება
„ᲘᲐᲙᲝᲠᲘ“
(ღ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეეყენებულვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალესანდრეს ძის ივანოვის სადგომში (100—721—›)

Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Іюля 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.